



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

#### ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი

2018 წლის ივლისში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიზანია დაარეგულიროს თბილისის ტერიტორიაზე უსაფრთხო მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) მომსახურება.

ცვლილებების თანახმად, კანონს დაემატა ნებართვის სახე - დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა, რომელსაც გასცემს მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

ნებართვა გაცემა ერთჯერადად, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ნებართვის მოქმედების განსაზღვრული ვადა ავტომატურად შესამღებელია გაგრძელდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.

ნებართვის გაცემის ფასი, ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით, ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში - 50 ლარის ოდენობით. ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გათავისუფლებულია ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ.-ზე მეტია.

## დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა განიხილა და მიიღო დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია მოქალაქეებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

კანონი არეგულირებს დაგროვებითი საპენსიო სქემის ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებს, განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეობის წესებსა და პირობებს, რომელთა მიხედვით:

- დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ დასაქმებულისთვის, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა სამოცი (60) წელი (ქალების შემთხვევაში – 55 წელი);
- დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია ყველა დასაქმებულისათვის, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა სამოცი (60) წელი (ქალების შემთხვევაში – 55 წელი), ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში და თვითდასაქმებულთათვის თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში;
- დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა ორმოცი (40) წელი და რომელსაც არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად უარი თქვას დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე;
- თითოეული დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას როგორც საკუთარი, ისე საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის სახელით, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს შენატანს მასზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის ორი (2) პროცენტის, ჯამურად კი – ოთხი (4) პროცენტის ოდენობით;
- დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის წლიური ხელფასის ჯამური რაოდენობის მიხედვით, სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს დასაბეგრი ხელფასის ორ (2) ან ერთ (1) პროცენტს, ან საერთოდ არ ახორციელებს საპენსიო შენატანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში, შესაძლოა, შევიდეს ცვლილებები, რომელთა მიხედვით, ეროვნული ბანკი, კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან ერთად, განახორციელებს საპენსიო სააგენტოზე ზედამხედველობას, გასცემს სავალდებულო ხასიათის მითითებას ან/და საჯარო რეკომენდაციას.

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N154/04

2018 წლის 9 ივლისის ბრძანებით (N154/04), ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისათვის.

კოდექსის მიზანს წარმოადგენს საბანკო სექტორში ეთიკისა და საბანკო პროფესიის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და პროფესიის მიმართ საზოგადოების, მათ შორის, ინვესტორთა ნდობის ამაღლებასა და საბანკო სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები, კომერციული ბანკის აქციონერები, ადმინისტრატორები და დასაქმებული პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.